აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

BOARD OF REPRESENTATIVES OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 431 244778) ფაქსი (+995 331) 24 38 33
ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება
№161

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ

ქ. ქუთაისი **28 თებერვალი 2018 წ.**

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის დებულება წარმოდგენილი სახით. /დებულება თან ერთვის/

3. დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

4. დადგენილება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: **პროფ. სულხან კუპრაშვილი**

დანართი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემგომში - „უნივერსიტეტი“ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემგომში - ცენტრი) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, შრომის კოდექსის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების (შემდგომში- „უნივერსიტეტის წესდება“), სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე;

1.2 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (შემგომში - ცენტრი) სტატუსს, ფუნქციებს და ამოცანებს, კომპეტენციას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, ანგარიშვალდებულებას, ცენტრის სტრუქტურას, მართვის სისტემას და აწესრიგებს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს;

1.3 დებულებას შეიმუშავებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ამტკიცებს უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობითი ორგანო - უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო;

1.4 ამ დებულებით განსაზღვრული ცენტრის ფუნქციები და ამოცანები წარმოადგენს ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებას.

მუხლი 2. ცენტრის სტატუსი, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება

2.1 ცენტრი არის უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეული.

2.2 ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, შრომის კოდექსით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით, უნივერსიტეტის წესდებით, ევროპულ საგანამანათლებლო სივრცეში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სფეროს მარეგულირებელი დოკუმენტებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებითა და ამ დებულებით.

2.3 ცენტრი პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე და ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე.

2.4 ცენტრის დაფინანსება ხორციელდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

3.1 ცენტრის სტრუქტურას შეიმუშავებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო;

3.2 ცენტრის ზოგად ხელმძღვანელობას ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი;

3.3 ცენტრი მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს და თანამდებობებს: ცენტრის ხელმძღვანელი, უფროსი სპეციალისტი, ხელმძღვანელის თანაშემწე, ოფის მენეჯერი.

3.4 ცენტრის შიდა პოზიციური სტრუქტურა თან ერთვის დებულებას;

3.5 ცენტრს ხელმძღვანელობს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი;

3.6 ცენტრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე;

მუხლი 4. ცენტრის მიზნები

4.1 ცენტრის მიზანია, სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, უნივერსიტეტის სამეცნიერი--კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფა-წარმართვა და ამ მიმართულების განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 5. ცენტრის ფუნქცია-მოვალეობები

5.1 უნივერსიტეტში ფუნდამენტური, გამოყენებითი და ინოვაციური სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრაში მონაწილეობა;

5.2 ინოვაციურ ცოდნაზე, ხარისხზე და შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების განხორციელების, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

5.3 უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების ანალიზის საფუძველზე, პერიოდული ანგარიშების მომზადება და წარდგენა უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისათვის;

5.4 შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ექსპერტული შეფასების საუნივერსიტეტო სისტემის განვითარების ხელშეწყობა;

5.5 უნივერსიტეტის პერსონალისათვის საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ფონდების მუშაობის სპეციფიკის, საკონკურსო პირობების გაცნობა და ტრენინგების ორგანიზება საგრანტო განაცხადების შესავსებად;

5.6 სამეცნიერო კვლევების განვითარებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელების მიზნით შესაბამისი კონტაქტების დამყარების ხელშეწყობა;

5.7 უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა;

5.8 საჭიროების შემთხვევაში, სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებში მეცნიერული კვლევების პრიორიტეტების განსაზღვრისა და ზოგადი ხასიათის საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელებისათვის მოცემული დარგის აღიარებულ მეცნიერთა მოწვევა სამეცნიერო კონსულტანტებად;

5.9 უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ განხორციელებული სამეცნიერო აქტივობების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და აღრიცხვა;

5.10 უნივერსიტეტის სახელით განხორციელებადი სამეცნიერო პროექტების რეგისტრაცია და ანალიზი;

5.11 უნივერსიტეტის პერსონალისათვის საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა სამეცნიერო ფონდების მოძიების, პატენტების შექმნისა და საავტორო უფლებების დაცვის მიზნით;

5.12 სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ექსპერტიზისათვის სათანადო კომპეტენციის ექსპერტების მოწვევა და მათი საქმიანობისათვის საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფა;

5.13 უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისათვის, ექსპერტული შეფასების საფუძველზე, რეკომენდაციების მომზადება უნივერსიტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევებისა და სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში მონაწილეობისათვის საჭირო თანადაფინანსებისთვის სახსრების გათვალისწინების შესახებ;

5.14 ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან განვითარებული სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა;

5.15 უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების და სემინარების ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების ხელშეწყობა;

5.16 სამეცნიერო-კვლევითი შედეგების კომერციალიზაციის, ინოვაციური ტექნოლოგიების მიღწევისათვის საჭირო გეგმის შემუშავება;

5.17 ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების მომზადება;

5.18 უნივერსიტეტის თანამშრომელთა სამეცნიერო მივლინებების რეგისტრაცია და შედეგების ანალიზი.

მუხლი 6. ცენტრის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა

6.1 ცენტრის ფუნქციებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ცენტრისა და მისი თანამშრომლების უფლებამოსილებათა ერთობლიობა წარმოადგენს ცენტრის კომპეტენციას;

6.2 ცენტრი მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებისას, უფლებამოსილია:

ა) მიიღოს ზომები ცენტრის ფუნქციების განხორციელებისა და ამოცანების შესრულების მიზნით;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, აკონტროლოს სამეცნიერო-კვლევითი პროცესების ჯეროვანი და და ეფექტური შესრულება და აგრეთვე, სხვა სტრუქტურული ერთეულების პროცესებში ჩართვის მონიტორინგი;

გ) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გამოთხოვა;

დ) საჭიროების შემთხვევაში, სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებში, მეცნიერული კვლევების პრიორიტეტების განსაზღვრა და ზოგადი ხასიათის საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელებისათვის მოცემული დარგის აღიარებულ მეცნიერთა მოწვევა სამეცნიერო კონსულტანტებად;

6.3 ცენტრი პასუხისმგებელია:

ა) ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების და ამოცანების შესრულებაზე;

ბ) უნივერსიტეტში სამეცნიერი-კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფა-წარმართვასა და განვითარების ხელშეწყობაზე;

სფეროს უზრუნველყოფაზე;

გ) უნივერსიტეტის მართვის ორგანოების მითითებისა და დავალებების შესრულებაზე;

დ) გადაცემული ქონების მოვლა-პატრონობაზე.

მუხლი 7. ცენტრის პერსონალი

7.1 ცენტრის პერსონალის მიღების წესი განისაზღვრება შრომის კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული დამხმარე პერსონალის ცენტრში მიღების ერთიანი წესის შესაბამისად.

7.2 ცენტრის პერსონალის შრომითი ურთიერთობები განისაზღვრება წერილობითი შრომითი ხელშეკრულებით.

7.3 ცენტრის პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საქმიანობასთან დაკავშირებული ინსტრუქციები თან ახლავს დებულებას.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე დებულების ან მისი ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა, დებულებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;

8.2 ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის ამ დებულებით, რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებით.

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის პოზიციური სტრუქტურა